# „ფინედუს კუთხე ბიბლიოთეკაში" - საკონკურსო განაცხადი

ფინედუ

| ინფორმაცია კონკურსანტის შესახებ | |
|---|---|
| სკოლის/ბიბლიოთეკის დასახელება | კონკურსანტის სახელი, გვარი, პოზიცია |
| ბაითალოს საჯარო სკოლა. | ნათია ტყემალაძე, მასწავლებელი, ბილინგვური სწავლების სპეციალისტი |

| ინფორმაცია ბიბლიოთეკის საჭიროებაზე | |
|---|---|
| რატომ გსურთ ბიბლიოთეკაში „ფინედუს“ კუთხის დამატება<br>• რატომ არის მნიშვნელოვანი | • ბაითალოს სკოლის მოსწავლეებისთვის ,,ფინედუს,, კუთხის გახსნა მნიშვნელოვანია,რადგან გვსურს მოსწავლეებს ადრეული ასაკიდან მივაწოდოთ საჭირო ცოდნა ისეთ აქტიურ საკითხებზე, როგორიცაა ,,კიბერუსაფრთხოება,, და ფინანსური წიგნიერება. |

| | |
|---|---|
| სკოლაში/ბიბლიოთეკაში „ფინედუს“ კუთხის გახსნა?<br>• როგორ შეუწყობს ხელს „ფინედუს“ კუთხე სკოლას/ბიბლიოთეკას და განათლების პროცესს? | ***პრაქტიკული უნარები-*** ბავშვებმა ისწავლონ,ფულის სწორად დაზოგვა და გადანაწილება, პრიორიტეტების განსაზღვრა<br>***უსაფრთხოება ციფრულ სამყაროში-*** მნიშვნელოვანია იცოდნენ, როგორ დაიცვან თავი ინტერნეტ-თაღლითობისგან, როგორ მართონ საკუთარი ანგარიშები უსაფრთხოდ<br>***ხალისიანი სწავლება-*** მრავალფეროვანი და ფერადი რესურსებით , ბევრად საინტერესოა სწავლა,როგორც თემატურად, ასევე ვიზუალიზაცია დაეხმარებათ გაიმჯიბესონ ქართული ენის დონე.<br>• ,,ფინედუს,, კუთხე , მნიშვნელოვნად გაამარტივებს და უფრო ეფექტურს გახდის პროცესს. რესურსები საშუალებას მოგვცემს სწავლება იყოს ეფექტური, საინტერესო და სახალისო, ასევე, შეეძლებათ , რათა ოჯახის წევრებს გაუზიარონ მიღებული ცოდნა. |

| ინფორმაცია ჩასატარებული პროექტის/აქტივობის შესახებ | |
|---|---|
| პროექტის /აქტივობის დეტალები | ქვემოთ მოცემულ ველებში დეტალურად აღწერეთ პროექტი/აქტივობა, რომელსაც განახორციელებთ/დაიწყებთ „ფინედუს“ მასალების გამოყენებით 2026 წლის 20 დეკემბრამდე.<br>• შეგიძლიათ აღწეროთ როგორც ხანგრძლივი პროექტი, მაგ.: ფინანსური განათლების კლუბის შექმნა, სემესტრული კონკურსები, ციფრული პროექტები, მასალების სხვა საგნებში ინტეგრირება და სხვ. ასევე, კონკრეტული, ერთჯერადი აქტივობები, მაგ.: ტრენინგი, დისკუსია, საჯარო შეხვედრები ბიბლიოთეკის სივრცეში, სოციალურ ქსელებში კამპანიები და სხვ.<br>• შეგიძლიათ აღწეროთ  გრძელვადიანი პროექტი, რომლის პირველ აქტივობასაც 20.12.2026-მდე ჩაატარებთ<br><br>*პრაქტიკულად გამოიყენებენ ფულის დაზოგვისა და განაწილების ძირითად წესებს.*<br>*ამაღლდება ცნობიერება კიბერუსაფრთხოებაზე – მოსწავლეები შეძლებენ ინტერნეტ-თაღლითობის ამოცნობას.*<br>*სკოლის ბიბლიოთეკა გახდება უფრო მიმზიდველი და თანამედროვე სივრცე მოსწავლეებისთვის.*<br>*გაიზრდება მშობლების ინფორმირებულობა შვილების მიერ სახლში მიტანილი ცოდნის ხარჯზე.* |

## „ფინედუს კუთხე ბიბლიოთეკაში" - საკონკურსო განაცხადი

| | |
|---|---|
| **მიზნობრივი სეგმენტი** *(მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები ან სხვ)* | ბაითალოს საჯარო სკოლის დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეები |
| **ადგილი, ხანგრძლივობა, ჯერადობა** | სოფ. ბაითალოს საჯარო სკოლა,<br>2026 წლის- ოქტომბერი-ნოემბერი |
| **ინდივიდუალურად განახორციელებთ თუ სხვა პირის ან ორგანიზაციის ჩართულობით**<br>(თუ სხვაც ჩაერთვება, პერსონალური მონაცემების მითითების გარეშე),მოკლედ აღწერეთ რა დანიშნულებით/ფუნქციით ჩაერთვება | ძირითად ინდივიდუალურად, თუმცა ჩავრთავ სკოლის სხვა მასწავლებლებსაც, რათა გაგვიზიარონ თავიანთი გამოცდილება და ბავშვებს შესთავაზოს სხვადასხვა აქტივობა. |
| **პროექტის/აქტივობის აღწერა**<br>**(რეკომენდირებულია 500-მდე სიტყვა)**<br>*(მიუთითეთ ყველა რელევანტური ინფორმაცია პროექტის იდეის შესაბამისად: რაში მდგომარეობს იდეა, როგორ უკავშირდება იგი ციფრულ განათლებასა ან/და კიბერუსაფრთხოებას, როგორ წარიმართება შეხვედრა/შეხვედრები, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილავთ თემებს, რა სავარაუდო თემები დაიფარება, რა მეთოდებს გამოიყენებთ და როგორ დაუკავშირებთ ფინანსურ განათლებას, რამდენი მონაწილე ჩაერთვება, პროექტი გრძელვადიანი თუ ერთჯერადი)* | პროექტი ითვალისწინებს სკოლის ბიბლიოთეკაში „ფინედუს“ საგანმანათლებლო კუთხის მოწყობას და მის ბაზაზე ინტერაქციული მეცადინეობების ჩატარებას. იდეის მთავარი არსია, რომ მოსწავლეებმა არაფორმალურ გარემოში, თამაშისა და დისკუსიის გზით მიიღონ ცხოვრებისეულად მნიშვნელოვანი ცოდნა.<br><br>პროექტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი აქტივობები:<br><br>კიბერუსაფრთხოების გაკვეთილები: კომიქსებისა და საინფორმაციო ბარათების გამოყენებით, მოსწავლეები ისწავლიან ინტერნეტ-თაღლითობის ამოცნობას, პირადი მონაცემების დაცვას და უსაფრთხო პაროლების შექმნას.<br><br>ფინანსური წიგნიერების ვორქშოფები: ბავშვები შეისწავლიან ფულის დაზოგვის ხერხებს, ბიუჯეტის სწორად გადანაწილებასა და პრიორიტეტების განსაზღვრას.<br><br>ინტერაქციული თამაშები: „ფინედუს“ რესურსებით მოეწყობა როლური თამაშები და ვიქტორინები, რაც თეორიულ ცოდნას პრაქტიკულ უნარებად აქცევს.<br><br>შეხვედრები ჩატარდება ეტაპობრივად, თვეში ორჯერ. პროექტში ჩაერთვება I-IX კლასის ყველა მოსწავლე. ეს არის გრძელვადიანი ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს არა მხოლოდ |

| | |
|---|---|
| | ერთჯერად ინფორმირებას, არამედ ბავშვებში სწორი ფინანსური და ციფრული ჩვევების ჩამოყალიბებას. მიღებულ ცოდნას მოსწავლეები ოჯახის წევრებსაც გაუზიარებენ, რითაც მთელი თემის ცნობიერება ამაღლდება. |
| **პროექტის/აქტივობის მოსალოდნელი შედეგი** *(მიუთითეთ, როგორ გაზომავთ პროექტის განხორციელების შედეგს ან რითი შეაფასებთ პროექტის წარმატებას)* | • ცოდნის ამაღლება ფინანსებთან დაკავშირებით<br>• ქართული ენის დონის ამაღლება<br>• კიბერუსაფრთხოების შესწავლა<br>• გუნდური მუშაობა<br>• კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბება<br>• ქცევის ცვლილება |
| **დაახლოებით როდის გეგმავთ პროექტის ორგანიზებას/გრძელვადიანი პროექტის შემთხვევაში - დაწყებას** | სექტემბრიდან 20 დეკემბრამდე |